

ნების გამოვლენის განმარტება, პირგასამტეხლოს შემცირება, ნომინალიზმის პრინციპი

მადი ჩანტლაძე*

თბილისის საოლქო სასამართლოს 2001 წ. 7 თებერვალის №2ა/64 გადაწყვეტილება, რომელიც ძალაში დატოვა უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 27 ივნისის №3კ/467-01 განჩინებამ, ეხება ნების გამოვლენის განმარტებას (სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლი), პირგასამტეხლოს შემცირებას (სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლი) და ნომინალიზმის პრინციპის (სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლი) გამოყენებას.

1. ძირითადი ფაქტები:

მოსარჩელემ შეიტანა სარჩელი თბილისის საოლქო სასამართლოში, რომელშიც მოპასუხისაგან მოითხოვა ხელშეკრულების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

მოსარჩელემ მოთხოვნის საფუძვლად მიუთითა მხარეთა შორის გაფორმებულ ნასყიდობის ხელშეკრულებაზე, რომლის მიხედვითაც მოპასუხეს საქონლის მიღებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში მთლიანად უნდა დაეფარა მიღებული საქონლის ღირებულება. ხელშეკრულების მიხედვით, გათვალისწინებული იყო პენია (პირგასამტეხლო) საქონლის მიღებიდან 30 კალენდარული დღის გასვლის შემდეგ „ყოველ გადაცილებულ დღეზე“ საკონტრაქტო ღირებულების „არაუმეტეს 0.1%-ს“ ოდენობით. ამასთან, მოსარჩელე თვლიდა, რომ გარიგების მომენტში ლარის კურსი აშშ დოლართან მიმართებაში, ეროვნული ბანკის მიერ გაცემული ცნობის შესაბამისად, შეადგენდა 1.335 პუნქტს, ხოლო განცხადების შეტანის მომენტისათვის – 1.982 პუნქტს, რის გამოც მოსარჩელეს წარმოეშვა დამატებითი ზიანი.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის მიხედვით, დაიდო საქონლის ნასყიდობის ხელშეკრულება და რომ მოპასუხემ მინოდებული საქონლისათვის გადაიხადა შეთანხმებული ფასის ნაწილი.

2. საოლქო სასამართლოს შეფასება და კვალიფიკაცია

სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა სარჩელი, ვინაიდან დადგენილად მიიჩნია ფაქტი დავალიანების არსებობის შესახებ, დაეყრდნო რა საქმეში არსებულ ნასყიდობის ხელშეკრულებას და უშუალოდ მოპასუხის აღიარებას.

ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, გამყიდველი მოვალე იყო გადაეცა მყიდველისთვის საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიენოდებინა საქონელი. სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლის თანახმად, მოსარჩელის მიერ ვალდებულება შესრულებულ იქნა ჯეროვნად, რაც დადასტურდა საქმეში არსებული მიღება-ჩაბარების აქტით. იმავე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც მყიდველი მოვალე იყო გადაეხადა გამყიდველისთვის შეთანხმებული ფასი, მოპასუხის მხრიდან შესრულებული იქნა არაჯეროვნად, კერძოდ, წარმოდგენილი მტკიცებულებების მიხედვით, მყიდველის

* თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამენარმეო პალატის თავმჯდომარე

მიერ გადახდილ იქნა მხოლოდ მინოდებული საქონლის საერთო ღირებულების ნაწილი. შესაბამისად, მოპასუხეს მოსარჩელისთვის გადასახდელი ჰქონდა საქონლის ღირებულების დარჩენილი ნაწილი. სასამართლოს აზრით, აღნიშნულ დავალიანებას ადასტურებდა მხარეთა მიერ გაფორმებული შედარების აქტი და მოპასუხის ზეპირი აღიარება სასამართლოს მთავარ სხდომაზე.

2.1 ნების გამოვლენის განმარტება

ხელშეკრულების მიხედვით, ს.ს.კ. 417-ე მუხლის თანახმად, ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევისათვის მხარეებმა გაითვალისწინეს მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალება პირგასამტეხლოს სახით.

ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა მიერ სადავოდ ქცეული პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო კოლეგიამ გაიზიარა მოსარჩელის არგუმენტაცია იმის შესახებ, რომ, ხელშეკრულების თანახმად, პირგასამტეხლო ვალდებულების დამრღვევი პირის მიერ გადახდილ უნდა ყოფილიყო სახელშეკრულებო ღირებულების 0.1% .ყოველ გადაცილებულ დღეზე“ საქონლის მიღებიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის (30 კალენდარული დღის) გასვლის დღიდან.

სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მტკიცება, რომ პირგასამტეხლო გადახდილი უნდა ყოფილიყო საკონტრაქტო ღირებულების 0.1% ოდენობით მხოლოდ ერთი გადაცილებული დღისათვის. მოპასუხე აღნიშნულს ასაბუთებდა იმით, რომ ხელშეკრულების შესაბამისი პუნქტის ბოლო წინადადებით „არაუმეტეს 0.1%-სა“ ადგენდა პირგასამტეხლოს გადახდას მხოლოდ ერთი და არა ყოველი გადაცილებული დღისთვის.

სასამართლო კოლეგიამ მხარეთა შორის ნების გამოვლენის კონფლიქტის გადაწყვეტისას იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლით, რომლის თანახმად, „ნების გამოვლენის განმარტებისას ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოდენ გამოთქმის სიტყვა-სიტყვითი აზრიდან“.

აღნიშნული ნორმა გულისხმობს ხელშეკრულების მონაწილეთა ნამდვილი ნების დადგენას, ანუ იმის გარკვევას, შეეძლო თუ არა ნების მიმღებს გამოვლენილი ნება ისევე გაეგო, როგორც ეს ნების გამომვლენმა იგულისხმა. აღნიშნულის განხორციელების მიზნით, სასამართლომ, საქმის მასალებიდან გამომდინარე, გაითვალისწინა ყველა ხელშესახები გარემოება. წარმოდგენილი ხელშეკრულების მიხედვით, ნების გამომვლენიცა და ნების მიმღებიც საქმიანი წრეების ერთსა და იმავე ფგფუს განეკუთვნებოდნენ და კერძო სამართლებრივ ურთიერთობებს სხვა პირებთან, კანონით დადგენილი წესების გარდა, სამოქალაქო კოდექსის 339-ე მუხლის თანახმად, ახორციელებდნენ სავაჭრო ჩვეულებებისა და ტრადიციების გათვალისწინებით. დამკვიდრებული ჩვეულების მიხედვით, პირგასამტეხლოს გადახდევინებას სამართალურთიერთობის სუბიექტები უმეტესად ახორციელებენ მოთხოვნის წარმოშობიდან ყოველ გადაცილებულ დღეზე.

სასამართლო კოლეგიამ მოცემულ ხელშეკრულებაში ურთიერთგამომრიცხავი გამონათქვამებიდან, სამოქალაქო კოდექსის 388-ე მუხლის თანახმად, უპირატესობა მიანიჭა გამონათქვამს: „ყოველ გადაცილებულ დღეზე“, რადგანაც ის უფრო მეტად შეესატყვისებოდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირგასამტეხლოს შინაარსს. პირგასამტეხლოს ინსტიტუტის დანიშნულება კი სწორედ ის არის, რომ დავალიანების მქონე პირი აიძულოს ჯეროვნად შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის დაჯარიმდება დავალიანების სრულად დაფარვამდე.

სასამართლო ხელშეკრულების გამონათქვამს „არაუმეტეს 0.1%-სა“ იმ შემთხვევაში მიანიჭებდა უპირატესობას და ჩათვლიდა ზღვრულ ოდენობად, თუ მხარეთა შორის იარსებებდა სასყიდლიანი (პროცენტისანი) ფულადი ვალდებულება.

2.2 შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შემცირება

სასამართლომ, საქმის გარემოებათა გათვალისწინებით, სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის საფუძველზე, მიზანშეწონილად მიიჩნია პირგასამტეხლოს თანხის შემცირება. მან განმარტა, რომ შეუსაბამოდ მაღალ პირგასამტეხლოში კანონი იმას კი არ გულისხმობს, რომ პირგასამტეხლოს პროცენტული ოდენობა თავიდავე შეუსაბამოდ მაღალი იყო და მხოლოდ ეს შეიძლება გახდეს მისი შემცირების საფუძველი, არამედ იმასაც, რომ შეუსაბამოდ მაღლად პირგასამტეხლო შეიძლება იქცეს ვალდებულების შესრულების პროცესშიც. ორივე შემთხვევაში სასამართლო უფლებამოსილია შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო, როცა ამას საჭიროებს მოვალის ინტერესები. ასეთი გადაწყვეტილება სასამართლოს შეუძლია მიიღოს არა მარტო ქონებრივი, არამედ ყველა პატივსადავები ინტერესის გათვალისწინებით, ანუ სასამართლოს შეუძლია პირგასამტეხლოს სამართლიანი შემცირება.

შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შემცირების საფუძველად სასამართლო მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ მოსარჩელის მხრიდან ადგილი ჰქონდა პირგასამტეხლოს ხელოვნურ გაზრდას. სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილეები ვალდებული არიან კეთილსინდისიერად, ჯეროვნად, მართლზომიერად, კანონისა და ზნეობრივი ნორმების დაცვით განახორციელონ თავიანთი უფლებები. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების მიხედვით, მოსარჩელე მხარეს დავალიანების დაფარვის მოთხოვნით წერილობით მოპასუხისათვის მიმართული ჰქონდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადახდის ვადის გასვლისას და მეორედ მხოლოდ ორი წლის შემდეგ.

მოსარჩელეს, ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მოთხოვნის წარმოშობის დღიდან 3 წლის განმავლობაში ყოველთვის შეეძლო დავალიანების გადახდებინების სასამართლოს საშუალებით მოთხოვნა, მაგრამ ზემოთ აღნიშნული ნორმით გათვალისწინებული კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, შეეძლო მოპასუხისათვის აღნიშნული მოთხოვნით მიემართა რამდენიმე თვის შემდეგაც და ორი წლის განმავლობაში არ გაეზარდა პირგასამტეხლოსათვის დაწესებული თანხის ოდენობა.

2.3 ნომინალიზმის პრინციპი

სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მითითება სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლზე დაყრდნობით, ინფლაციის გათვალისწინებით, ზიანის მოთხოვნის ანაზღაურებაზე უსაფუძვლოა, რადგან ამ მუხლში მითითებულია, რომ, თუ ვალის გადახდის დადგომამდე გაიზარდა ან შემცირდა ფულის ერთეული (კურსი) ან შეიცვალა ვალუტა, მოვალე ვალდებულია გადაიხადოს ვალდებულების წარმოშობის დროს არსებული კურსით. ვალუტის შეცვლისას, გადაცვლით ურთიერთობებს საფუძველად უნდა დაედოს ის კურსი, რომელიც ვალუტის შეცვლის დღეს არსებობდა ფულის მოცემულ ერთეულებს შორის.

მითითებული კანონის მოთხოვნიდან გამომდინარე, ფულის ერთეულის გაზრდა ან შემცირება თავისთავად გულისხმობს ფულის რეფორმას, რაც ფულის სისტემის განმტკიცებისთვის გატარებული სახელმწიფო საკანონმდებლო აქტია, რომლის შედეგად ხდება ქვეყანაში ფულის მოქმედი სისტემიდან სხვა სისტემაზე გადასვლა. ამ დროს ხდება გაუფასურებული ფულის მიმოქცევიდან ამოღება და მის ადგილს იკავენს ახალი ფული, იცვლება ფულის ერთეული ან მისი ოქროს შემცველობა, რის შემდეგაც დგინდება ფულადი ერთეულის, ფულის ნიშნის ფორმა და ეროვნული ვალუტის კურსი. ფულის კურსი კი ნიშნავს ერთი ქვეყნის ფულის ერთეულის ღირებულებას, გამოხატულს სხვა ქვეყნის ფულის ერთეულში.

ფულის კურსის დადგენა გაიგივებულია მის კოტირებასთან, რაც უცხოური ვალუტის საბირჟო ფასების დადგენას ნიშნავს. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ვალუტის შეცვლა გულისხმობს ქვეყანაში არსებული ფულის ნიშნის შეცვლას.

აღიარებული პრაქტიკით, ფულადი ვალდებულების შესრულების დროს მოქმედებს ე.წ. ნომინალური პრინციპი, ე.ი. პრინციპი იმის შესახებ, რომ ვალი ნომინალურად იმ თანხაში უნდა დაიფაროს, რომლის შესაბამისადაც იყო დადებული ხელშეკრულება.

სასამართლო კოლეგია თვლის, რომ ფულადი ვალდებულების შესრულების დროს სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ადგილი აქვს დენომინაციას, ანუ ფულის ერთეულის ნომინალის ცვლილებას. მაგალითად, დენომინაცია განიცადა საბჭოთა კავშირის დროს მანეთმა, როდესაც 10 მანეთის ნომინალი შეიცვალა 1 მანეთის ნომინალით. ვალუტის ცვლილებას ადგილი ჰქონდა მაშინ, როცა რუსული რუბლი შეიცვალა კუპონით, ხოლო შემდეგ კუპონი – ლარით.

რაც შეეხება ჰიპერინფლაციას, აღნიშნული თავისთავად ნიშნავს საქონლის ფასებისა და მიმოქცევაში არსებული ფულის მასის უაღრესად სწრაფ ზრდას, რომელიც იწვევს ფულადი ერთეულის მკვეთრ გაუფასურებას, საგადასახადო ბალანსის მოშლასა და ნომინალური სამეურნეო კავშირების დარღვევას. ამ დროს, მიმოქცევის სფეროში სახელმწიფო უშვებს დიდი რაოდენობის ფულს, რომელიც რეალური საქონელბრუნვის საჭიროებას აღემატება, რასაც მოსდევს ფულის კურსის მკვეთრი გაუარესება, ოქროს საბაზრო ფასების ზრდა. ვინაიდან ქართული ეროვნული ვალუტის – ლარის მიმართ ზემოთ მითითებულ პროცესებს ადგილი არ ჰქონია, ფულადი ვალდებულებების შესრულების დროს დაუშვებელია სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლის გამოყენება.

ამ მუხლის გამოყენება დაუშვებელია ასევე ფულის ნომინალური გაცვლითი კურსის ვარდნის დროს, რადგან აღნიშნული პროცესი ყველა ქვეყანაში აღინიშნება. ლარის კურსის დაცემის კრიტერიუმად არ შეიძლება აღებულ იქნას რომელიმე უცხოურ ვალუტასთან შეფარდება, რადგან, როგორც ცნობილია, ლარის კურსი უცხოურ ვალუტასთან შეფარდებაში მერყეობს, ზოგი ქვეყნის ვალუტასთან შეფარდებით მცირდება, მაგრამ ზოგიერთი ქვეყნის ვალუტასთან მიმართებით იზრდება.